საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-19/464
01/08/2019

464-გ-19-1-4-201908011532

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ რადიოსიხშირეების მინიჭებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის №157/13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ (რეგისტრირებული საგადასახადო ინსპექციის მიერ, ს.კ. № 204858163) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/2084-18, 27.04.18; №შ-18-7/6794, 27.12.18; №შ-19-6/1857, 23.04.19; №შ-19-7/2663, 13.06.19) და მოითხოვა FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისთვის კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის №157/13 გადაწყვეტილებით მინიჭებული სიხშირეების ცვლილება კერძოდ ლუწი დაბოლოების მქონე სამუშაო სიხშირეების შეცვლა დაცვის ზოლში ან მის გარეთ არსებული კენტი მეათედების დაბოლოების მქონე სიხშირული რესურსით, ასევე ჩრდილოვანი ზონების დაფარვის მიზნით ახალი სიხშირეების მინიჭება.

კომისია აღნიშნავს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის №157/13 გადაწყვეტილებით ფლობს შემდეგ სიხშირულ რესურსს:

№	გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)
1	თბილისი სატელევიზიო ანძა	102.4	FM	V	წრიული	2000	8	41°41'44.69"N 44°47'6.19"E	260
2	თბილისი სატელევიზიო ანძა	100,9	FM	V	წრიული	2000	8	41°41'44.69"N 44°47'6.19"E	210
3	გორი სატელევიზიო ანძა	100.7	FM	V	წრიული	1000	6.5	42° 1'56.54"N 44° 2'53.02"E	70
4	გორი სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	2000	8	42° 1'56.54"N 44° 2'53.02"E	100
5	ხაშური სატელევიზიო ანძა	102,3	FM	V	წრიული	250	2	42°0'8.81"N 43°33'40.06"E	45
6	ქუთაისი	100.3	FM	V	წრიული	2000	8	42°16'49.08"N 42°44'10.10"E	105

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

	სატელევიზიო ანძა								
7	ჭიათურა სატელევიზიო ანძა	102,3	FM	V	წრიული	250	2	42°17'15.57"N 43°15'40.46"E	50
8	საჩხერე სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	250	2	40°20'54.86"N 43°24'4.22"E	25
9	ზუგდიდი სატელევიზიო ანძა	101.3	FM	V	წრიული	1000	8	42°30'7.92"N 41°53'8.61"E	40
10	ფოთი სატელევიზიო ანძა	102,1	FM	V	წრიული	500	8	42°11'16.30"N 41°42'3.00"E	100
11	მესტია სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	250	2	43°1'21.84"N 42°45'21.40"E	25
12	ლენტეხი სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	150	2	42°46'28.45"N 42°45'40.57"E	20
13	ამბროლაური სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	250	2	42°30'49.70"N 43°9'52.28"E	25
14	ონი სატელევიზიო ანძა	102,3	FM	V	წრიული	250	2	42°34'38.22"N 43°26'27.31"E	25
15	ოზურგეთი სატელევიზიო ანძა	102,5	FM	V	წრიული	150	2	41°54'48.87"N 41°59'34.00"E	25
16	ბათუმი სატელევიზიო ანძა	102,4	FM	V	წრიული	1000	5	41°41'37.58"N 41°42'54.98"E	40
17	ხულო სატელევიზიო ანძა	102,3	FM	V	წრიული	100	2	41°38'22.39"N 42°20'34.68"E	20
18	ახალციხე სატელევიზიო ანძა	102,4	FM	V	წრიული	500	5	41°37'48.46"N 42°57'25.44"E	45
19	ახალქალაქი სატელევიზიო ანძა	99,1	FM	V	წრიული	1000	2	41°20'51.01"N 43°25'33.52"E	80
20	ბორჯომი სატელევიზიო ანძა	99,5	FM	V	წრიული	250	2	41°49'27.20"N 43°23'0.33"E	25
21	დმანისი სატელევიზიო ანძა	99,5	FM	V	წრიული	500	8	41°22'39.69"N 44°12'53.95"E	50
22	წალკა სატელევიზიო ანძა	99,1	FM	V	წრიული	250	2	41°38'5.61"N 44°14'19.51"E	50
23	სტეფანწმინდა სატელევიზიო ანძა	102,3	FM	V	წრიული	250	2	42°39'24.38"N 44°39'9.73"E	10
24	თელავი სატელევიზიო ანძა	99,1	FM	V	წრიული	500	2	41°52'17.01"N 45°24'34.26"E	20
25	დედოფლის წყარო	91,1	FM	V	წრიული	500	2	41°28'1.70"N 46°8'11.02"E	200

	სატელევიზიო ანძა								
26	ყვარელი სატელევიზიო ანძა	105,1	FM	V	წრიული	500	2	41°54'23.28"N 45°49'41.13"E	80
27	ლაგოდეხი სატელევიზიო ანძა	99,5	FM	V	წრიული	250	2	41°48'41.76"N 46°10'16.54"E	25

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოსამაუწყებლო ქსელის განვითარებისათვის კომისია საზოგადოებრივ მაუწყებელს ანიჭებს დამატებით სიხშირეებს FM დიაპაზონში, შესაბამის ზონაში არსებული თავისუფალი სიხშირული რესურსიდან.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიამ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ 2019 წლის 10 აპრილის წერილით (№19-06/1073) მიაწოდა ინფორმაცია ცალკეულ ქალაქებში ახალი სიხშირული რესურსის მინიჭების შესაძლებლობის თაობაზე. სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ 2019 წლის 23 აპრილს (№შ-19-6/1857) წერილით განაცხადა თანხმობა კომისიის მიერ შემოთავაზებული სიხშირეების მინიჭებაზე და დამატებით მოითხოვა ჭადიჯვრის (დუშეთი) პუნქტისთვის სამუშაო სიხშირის მინიჭება.

კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2019 წლის 8 ივლისის №19-10/1241 სამსახურებრივი ბარათის თანახმად სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სარგებლობაში არსებული ლუწი მეათედი დაბოლოების სიხშირეების შეცვლა კენტი მეათედების დაბოლოების მქონე სიხშირული რესურსით შესაძლებელია ქ. თბილისში, ქ. გორში, ქ. ხაშურში, ქ. ბათუმში, ქ. ხულოში და ქ. ახალციხეში, ხოლო ახალი სიხშირული რესურსის მინიჭება შესაძლებელია 23 ახალ პუნქტში, რომლებიც მოთხოვნილი იყო სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელის“ მიერ.

კომისია აღნიშნავს, რომ ის კენტი მეათედების დაბოლოების მქონე სიხშირული რესურსი, რომელიც უნდა მიენიჭოს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ქ. თბილისში, ქ. გორში, ქ. ხაშურში, ქ. ბათუმში, ქ. ხულოში და ქ. ახალციხეში, იმავე გეოგრაფიულ ზონებში დღეის მდგომარეობით ლუწი მეათედი დაბოლოების (100 კჰც სხვაობით) სიხშირეების ფუნქციონირების დროს არაგამოყენებადი რესურსია და შესაბამისად თავისუფალ სიხშირულ რესურსად ვერ განისაზღვრებოდა. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ზემოაღნიშნული სიხშირეებით სარგებლობა, არ შეზღუდავს კომისიის 2015 წლის 30 აპრილის №227/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „87.5მჰც÷108მჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსის განაწილების შესახებ“ ამჟამად მოქმედ გეგმაში განსაზღვრული სიხშირული რესურსის გამოყენებას. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ 23 პუნქტში მისანიჭებელი ახალი სიხშირული რესურსი არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ გეგმაში, ვინაიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად კომისია „რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს და აქვეყნებს რადიოსამაუწყებლო სიხშირეთა გეგმას ლიცენზიის მაძიებლებისათვის.

საკითხის განხილვა გაიმართა კომისიის 2019 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე. სხდომას არ ესწრებოდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელი. კომისიის სხდომაზე არ გამოვლენილა სიხშირეების მინიჭების დამაბრკოლებელი გარემოება, შესაბამისად კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ რადიოსიხშირეების მინიჭება და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის №157/13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის №157/13 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;
2. უზრუნველყოს სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
3. დაევალოს რადიოსიხშირული სპექტრის მართვის (ლ. ლაშქარავა) და ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტებს (მ. ქადეიშვილი) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მინიჭებული სიხშირეების კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
5. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
7. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ნ. ჯავახიძე) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ გაგზავნა;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის თავმჯდომარის მ.შ.

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე